პირველადი გადაუდებელი დახმარება სისხლდენის დროს

პირველადი გადაუდებელი დახმარების საფუძვლები

პირველადი გადაუდებელი დახმარება– არის სასწრაფო, მარტივი,მაგრამ ამასთანავე ძალიან ეფექტური ღონისძიებათა ერთობლიობა,რომელიც უნდა გატარდეს შემთხვევისთანავე

პირველადი გადაუდებელი დახმარების თანმიმდევრობა:

- დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების შეწყვეტა.
(დაზარალებულის გამოყვანა წყლიდან, შენობის ნანგრევებიდან ,ავტომანქანიდა, ვაგონიდან,ცეცხლწაკიდებული შენობიდან)

- დაზარალებულის მდგომარეობის სწრაფად და სწორად შეფასება;
(დაზარალებულის სიცოცხლის ნიშნების დადგენა)

- დაზიანების სიმძიმის დადგენა;
(სისხლდენის, მოტეხილობის არსებობა და ა.შ)

- პირველადი გადაუდებელი დახმარების დაწყება;

- დაზარალებულის მომზადება ტრანსპორტირებისთვის;

- დაზარალებულის სწრაფი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში(შემლებისდაგვარად)

! ტრავმის მიღებიდან გადაუდებელი დახმარების გაწევის ოპტიმალური ვადა - 30 წუთამდე.

სისხლდენა

სისხლდენა დაზიანებული
სისხლძარღვიდან

სისხლდენის სახეები

გარეგანი

(სისხლის გადმოდინება სხეულის ზედაპირზე)

შინაგანი

(სისხლის დენა შინაგან ორგანოებში, ღრუებში და ქსოვილებში)

სისხლდენის სახეები,დაზიანებული სისხლძარღვის მიხედვით

ვენური

არტერიული

კაპილარული

შერეული

სისხლდენის დახასიათება

- **კაპილარული :**
  სისხლი ჟონავს ჭრილობის
  მთელი ზედაპირიდან მდორედ

- **ვენური:**
  მუქი ალუბლისფერი სისხლი
  მდორედ გადმოედინება
  ჭრილობიდან.

- **არტერიული:**
  ალისფერი სისხლი მოპულსირე
  ნაკადით გადმოედინება
  ჭრილობიდან.

- **შერეული:**
  ახასიათებს როგორც ვენოზური
  ასევე არტერიული სისხლდენის
  ნიშნები



არტერიული; ვენური; კაპილარული

სისხლდენის შეჩერების დროებითი მეთოდები

- ხსეულის დაზიანებული კიდურის მაღლა აწევა სხეულთან მიმართებაში
- დამწოლი ნახვევის დადება სხეულის სისხლმდენ უბანზე
- სისხლმდენი სისხლძარღვის თითით მიჭყლეტა
- სისხლმდენი კიდურის მაქსიმალური მოხრა
- ლახტის დადება სისხლნდენი უბნის ზემოთ

დაზიანებული კიდურის ზემოთ აწევა სხეულთან მიმართებაში

დამწოლი ნახვევის დადება



1. ჭრილობიდან სისხლდენა 2.

2 - სისხლმდინარე სისხლძარღვის მიჭყლეტა

3 - დამწოლი ნახვევი(ჭრილობაზე ედება რამოდენიმე ფენა დოლბანდი, ბამბის მკვრივი ბურთულა და შემდეგ შეიხვევა ისევ დოლბანდით) 3.

სისხლმდენი სისხლძარღვის თითით მიჭყლეტა



ეს ხერხი საშუალებას იძლევა სისხლდენის საფუძვლიანად შესაჩერებელი მასალის, (ლახტის), მოსამზადებლად!



არტერიის მიჭყლეტა შესაძლებელია ცერა თითით, ხელისგულით,მუშტით.



- **კიდურებზე** არტერიის მიჭყლეტის წერტილი სისხლდენის ადგილის **ზემოთ** უნდა იყოს.



- **თავსა და კისერზე** არტერიის მიჭყლეტის წერტილი სისხლდენის ადგილის **ქვემოთ** უნდა იყოს



სისხლდენისას არტერიის მისაჭყლეტი წერტილები

1 - საფეთქლის არტერიის

2 - ქვედაყბის გარეთა არტერიის

3 - იდაყვის არტერიის

4 - სხივის არტერიის

5 - მხრის არტერიის

6 - იღლიის არტერიის

7 - თეძოს არტერიის

8 - წვივის უკანა არტერიის

9 - წვივის წინა არტერიის

10 - მარჯვენა საძილე არტერიის

11 -ლავიწქვეშა არტერიის

კიდურის მაქსიმალური მოხრა

აწარმოებენ კიდურის მაქსიმალურ მოხრას ჭრილობის ზემოთ და აფიქსირებენ ქამრით, შარფით, კაშნეთი და სხვა საშუალებებით. ასეთ მდგომარეობაში შეიძლება კიდური დავტოვოთ მაქსიმუმ **2 საათი**





სისხლდენის შეჩერება ბარძაყის არტერიიდან



სისხლდენის შეჩერება მუხლის ქვემოთა არედან.

სისხლდენის შესაჩერებელი ლახტის დადების წესები



ლახტის დადება

ლახტის დაფიქსირება

- ლახტის დადება შეიძლება მხოლოდ ტანსაცმლის ზემოდან ;
- ლახტს უჭერენ სისხლდენის შეჩერებამდე!
- მაჯიდან,წინამხრიდან და იდაყვის არედან სისხლდენის დროს - ლახტი ედება წინამხრის ზემო მესამედში;
- ქვემო კიდურიდან სისხლდენისას, ლახტი ედება თეძოს შუა მესამედში.
- ლახტის ქვეშ უნდა მოთვსდეს ბარათი ,ლახტის დადების თარიღის და დროის მითითებით!
- კიდურზე ლახტის გაჩერება შეიძლება არაუმეტეს **1,5-2** საათისა, ხოლო ზამთრის თვეებში არაუმეტეს **0,5-1** საათისა.!!!

პერიოდულად, (**30-60** წუთის შემდეგ) ,ლახტი რამოდენიმე წუთით უნდა მოუშვათ.
(ამ პერიოდში ლახტის ზემოთ სისხლძარღვი მივჭყლიტოთ თითით), შემდეგ ისევ გადაუჭიროთ ლახტი და დააფიქსიროთ.

ხელმისაწვდომი საშუალებები

იმ შემთხვევაში ,თუ სტანდარტული ლახტი არ არის ხელმისაწვდომი, შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- რეზინის მილი;
- ჰალსტუხი;
- ქამარი;
- ცხვირსახოცი,შარფი ;
- არ შეიძლება მავთულის გამოყენება!



გადაუდებელი დახმარება გარეგანი სისხლდენისას

კაპილარული სისხლდენისას:

- დაადეთ ჩვეულებრივი ნახვევი დოლბანდით;
- დაზიანებული კიდური აუწიეთ ზემოთ;

ვენური სისხლდენისას:

- სისხლმდენი ვენა მიჭყლიტეთ თითით; დააფიქსირეთ კიდური გარკვეულ პოზიციაში;
- დაადეთ დამწოლი ნახვევი;
- დაზიანებული კიდური აუწიეთ ზემოთ,სხეულთან მიმართებაში;

არტერიული სისხლდენისას:

გამოიყენეთ ყველა მეთოდი სისხლდენის დროებით შესაჩერებლად და შემდეგ დაადეთ **ლახტი.ლახტის დადების ადგილიდან ქვემოთ,პერიოდულად შეამოწმეთ კიდურის ტემპერატურა, ფერი და პულსი!!**

შენაგანი სისხლდენის ნიშნები

- პირიდან ალისფერ სისხლიანი გამონადენი ნიშანია: პირის ღრუდან, საყლაპავიდან,ფილტვებიდან სისხლდენა;
- «სისხლიანი ღებინება» ნიშანია კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი ან სიმსივნური დაავადების;

ამ დროს სისხლა აქვს ყავის ნალექის ფერი;

ამავე დროს შეიძლება იყოს კუპრისფერი განავალი დამახასიათებელი სუნით.

- შარდში სისხლის არსებობა მიუთუთებს საშარდე სისტემის-თირკმელების,შარდის ბუშტის დაზიანებაზე.
- ყველა შემთხვევაში დაზარალებულს უნდა შევუმნათ მშვიდი გარემო და გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარების ბრიგადა.